

1. ერთერთი ლიტურგიკული წყარო ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგ განმარტებას იძლევა: „როგორც ხორციელი წინაპრები იესო ქრისტესი, წმიდა იოაკიმ და ანა მაცხოვრის მშობლებად („Богоотцами“) იწოდებიან“ ... (3. 352);

2. ამგვარადვეა წარმოჩენილი საკითხი წმ. ანას მიძინების მსახურების კონდაკშიც (ძვ. სტ. 25.06): – „პირველთა მათ მშობელთა ქრისტესთა („Прародителей Христовых“) ხსენება ვიდღესასწაულთ,“ ... (2. 488; 3. 279);

3. ასევე, ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩამოლოცვის ფორმულარის დასაწყისს, რომელიც იწყება ცნობილი სიტყვებით: – „ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისა<sup>Y</sup>თა,“ (1. 321-324) და ა.შ. ამდენად, ჩამოლოცვისას უმთავრესი აქცენტი წმიდა სამების მეორე პირზე – იესო ქრისტეზეა გაკეთებული და არა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელზე, რაც გახლავთ კიდევ ერთ-ერთი მიზეზი იოაკიმ და ანას მაცხოვრის „ხორციელ წინაპრებად“, „პირველთა მათ მშობელთა ქრისტესთა“, ანუ „მშობელთა ღმრთისათა“ მოხსენიებისა!

#### დამოწმებული ლიტერატურა:

1. სამღვდელო კონდაკი, გამომცემლობა „ორთოდოქსოს კიფსელი“- თესალონიკი, 1993წ.;
2. ჟამნი, თბილისი, 1899წ.;
3. С.В. Булгаков, Настольная книга священно-церковно-служителя, т. I 1997г.